ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31222996**
თარიღი: **26/10/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის კახაბერ ასკურავას 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის

ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ადმინისტრაციული ერთეული: ლანჩხუთი. სხდომათა დარბაზი.

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 21. 10. 2022 წელი 12:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა,** საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე**, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მდივანი **ირმა მგელაძე,** საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი **გივი ცინცაძე,** საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი **ნიკოლოზ კოზანაშვილი,** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: **ცირა ბზეკალავა,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: **ნინო ჭანტურიშვილი.**

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა** შეხვდა ლანჩხუთის რაიონის მოსახლეობას. ანგარიშის წარდგენამდე ის მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი - საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. მან მადლობა გადაუხადა მოსახლეობას მობრძანებისთვის და აღნიშნა, რომ უკვე თითქმის ერთი წელია, რაც მათი ამომრჩევლის წყალობით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მოხვდა საკრებულოში. მან განუმარტა მოსახლეობას, რომ კანონიც ითვალისწინებს და მათაც თავი ვალდებულად ჩათვალეს, ამომრჩევლისთვის გარკვეული ანგარიში წარედგინათ. **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საკრებულოში არის უმცირესობაში და გადაწყვეტილებებზე გავლენას ვერ ახდენს. პოლიტიკა, რომელიც ამჟამად მუნიციპალიტეტში ხორციელდება, თავიდან ბოლომდე პასუხისმგებელია „ქართული ოცნება“. ფრაქციას მხოლოდ შეუძლია დააყენოს წინადადებები,

წარადგინოს ინიციატივები, შესთავაზოს მოსაზრებები და მაქსიმალურად შეეცადოს, რომ გარკვეული საკითხები გაიტანოს. მან აღნიშნა, რომ უფლებამოსილებას შეუდგა 2021 წ. 4 დეკემბერს. არის ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ასევე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიისა და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი.

კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში იხსნება იუსტიციის სახლი და ეამაყება, რომ წინა მოწვევის საკრებულოდან მისი ინიციატივა იყო სოფელ სუფსაში გახსნილიყო იუსტიციის სახლი, შემდეგი ინიციატივა იქნება მამათი-აცანისა და ჩოჩხათის ზონებშიც გაიხსნას იუსტიციის სახლი. მან აღნიშნა, რომ ამ მომსახურებით განსაკუთრებით სარგებლობენ მოხუცები და მათთვის სერიოზული შეღავათი იქნება, რადგანაც მუნიციპალიტეტის ცენტრში ჩამოსვლა არ მოუწევთ და ადგილზე მიიღებენ ყველანაირ მომსახურებას. მისი თქმით რეფორმა შექმნილია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ და ძალიან წარმატებით მუშაობს.

კახაბერ ასკურავამ ასევე აღნიშნა, რომ ფრაქციამ ძალიან ბევრი წერილით მიმართა მერიას უამრავ საკითხზე, რომლებიც სხვადასხვა პრობლემებს ეხებოდა. გარკვეული საკითხები იქნა გათვალისწინებული, მაგრამ ეს არის მინიმუმი.

კახაბერ ასკურავამ ისაუბრა სახურავების თემაზე და თქვა, რომ სახურავებს ხელისუფლება არიგებდა პოლიტიკური ნიშნით, რაც არის კატასტროფა. მან დაასახელა კონკრეტული პიროვნებები, კერძოდ, ალეკო ჯინჭარაძე და მაია ფილია, რომელთაც იმიტომ არ დაურიგეს სახურავები, რომ არიან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები. მან მიმართა მოსახლეობას, რომ როცა ისინი მსგავს პრობლემას დაინახავენ, აუცილებლად აცნობონ.

ფრაქციის თავმჯდომარემ ისაუბრა წყლის და გზების პრობლემებზე, რომლებიც ძალიან აქტუალურია და რომლის მოწესრიგებაშიც მილიონობით თანხა იხარჯება და მიუხედავად ამისა პრობლემა მაინც მოუგვარებელია. მან მოსახლეობას აცნობა, რომ დეპუტატის წერილით მათ შეუძლიათ უშუამდგომლონ ნებისმიერ ადამიანს, რომელთაც ესაჭიროება დახმარება.

კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ მათ ეთანამშრომლება ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი „NDI”, რომელიც იკვლევს მოსახლეობის პრობლემებს, ამავდროულად ერთგვარი შუამავალია ხალხსა და მედიას შორის. მან აღნიშნა, რომ საამაყოდ შეუძლია თქვას, რომ ფრაქციის მიერ წამოჭრილი პრობლემა და „NDI”-ს გამოკვლევა დაემთხვა ერთმანეთს და პირველ ადგილზე გავიდა.

კახაბერ ასკურავამ ასევე ისაუბრა იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია ბაზარი და ავტოსადგური დაუბრუნდეს ძველ ადგილს და აღნიშნა, რომ ბაზარი არის გაყიდული და მისი მფლობელია „ქართული ოცნების“ დეპუტატი ვასილ ჩიგოგიძე. სამწუხაროდ, ბაზარი არის დაკეტილი და იქ არაფერი არ ხორციელდება. ის კატეგორიულად მოითხოვს, ეს პრობლემა ჩიგოგიძემ დროულად მოაგვაროს.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ისაუბრა მუნიციპალური ტრანსპორტის მოწესრიგების აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ სოფლის მოსახლეობისთვის სერიოზული პრობლემაა გადაადგილება. მან თქვა, რომ ფრაქციის ინიციატივა იქნება ყველა სოფელში ტრანსპორტმა იმოძრაოს დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე მაინც.

კახაბერ ასკურავამ აგრეთვე ისაუბრა სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ტრანსპორტირების პრობლემაზე და აღნიშნა, რომ მშობლებს საკუთარი თანხებით უწევთ ბავშვთა გადაადგილება, ამიტომ ფრაქციის ინიციატივა იქნება, რომ მუნიციპალიტეტი როგორც ახორციელებს სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებას, ასევე საკუთარ თავზე აიღოს ბაღის აღსაზრდელების

ტრანსპორტირებაც. მან ასევე აღნიშნა, რომ ფრაქციის წევრის, გივი ცინცაძის ინიციატივით სოფელ ლაშისღელიდან სოფელ შუხუთამდე დაინიშნა ტრანსპორტი, რომელიც ემსახურება სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებს, რითაც ძალიან კმაყოფილია მშობლები.

კახაბერ ასკურავამ აგრეთვე აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეისი, კერძოდ „ლესა-ქვიანი“ დაემატა მისი ინიციატივით. მან ისაუბრა იმის შესახებ, რომ 2007 წლის შემდეგ, როცა მაშინდელმა ქალაქის მერმა, გიორგი გოგუაძემ ჩამოიყვანა ავტობუსები, მუნიციპალიტეტს საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ შეუძენია და რაიონში სატრანსპორტო პოლიტიკა არ არსებობს, რომ ძველი ტრანსპორტი გაცვდა, ამორტიზირდა და აუცილებელია ახლით ჩანაცვლება.

კახაბერ ასკურავამ მიმართა მოსახლეობას და სთხოვა მათ, თუ აქვთ ინფორმაცია სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ, რომლებიც იმის გამო ვერ აგრძელებენ სწავლას, რომ არა აქვთ ფინანსური შესაძლებლობა, აუცილებლად მიაწოდონ მათ ეს ინფორმაცია.

კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ სამწუხაროდ ხდება ამომრჩევლის მოსყიდვა და რომ ეს ხდება ხალხის ფულით. მან ასევე თქვა, რომ ევროკავშირი აფინანსებს უამრავ პროექტს, რასაც იწერს „ქართული ოცნება“. მან მიმართა მოსახლეობას თხოვნით, რომ თუ მათ სოფელში არის რაიმე კულტურული ძეგლი, რომელიც ჩვენს ისტორიას აკავშირებს წარსულთან და არის ძეგლის რესტავრაცია საჭირო, ევროკავშირი აუცილებლად აღადგენს მათ.

კახაბერ ასკურავამ მიმართა მოსახლეობას, რომ აცნობონ რა პრობლემები აწუხებს მათ, რომ შევიდნენ ინიციატივით 2023 წლის ბიუჯეტში ასასახავად.

სოფელ ბაღლეფში მცხოვრებმა მოქალაქემ, **თამილა დიასამიძემ** ისაუბრა ტრანსპორტირების პრობლემაზე და თქვა, რომ კარგია დილიდან რომ მოძრაობს ტრანსპორტი და ქალაქში წამოსვლა ადვილია, მაგრამ საღამოს გადაადგილება არის ძალიან რთული, 4 საათის შემდეგ ტრანსპორტი არ მოძრაობს „ეწრის“ მიმართულებით და მოითხოვს საღამოსაც დაემატოს ერთი რეისი. მან თქვა, რომ არის მრავალშვილიანი დედა და ბავშვები ყოველდღე დაჰყავს ლანჩხუთში სხვადასხვა წრეზე. ის მიიჩნევს, რომ შვილებს მეტი განათლება უნდა მივცეთ და ამისთვის ხელშეწყობაა საჭირო. მან ასევე აღნიშნა, რომ სოფელში არა აქვთ ნაგვის ურნა და მოითხოვა ამ პრობლემის მოგვარება. წლებია ჰპირდებიან და ვერ მოხერხდა, რომ ტრასა ისე მოწესრიგდეს, რომ ნაგვის მანქანა მივიდეს სოფლამდე. მან ისაუბრა იმაზეც, რომ სოფელში არა აქვთ წყალი და გაზი.

კახაბერ ასკურავა მას დაჰპირდა, რომ ამ საკითხებს აუცილებლად გააჟღერებს სხდომაზე.

სოფელ ჩოჩხათის მკვიდრმა, **ზაურ კვაჭაძემ** თქვა, რომ ძლიერმა ქარმა მის საცხოვრებელ სახლს ახადა სახურავი, რომ არის მარტოხელა და არ სარგებლობს სოციალური დახმარებით. ის ითხოვს სასწრაფოდ დახმარებას.

ადგილობრივმა მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს თანადგომისა და ყურადღებისთვის. **კახაბერ ასკურავას** თქმით, როგორც საკრებულოს წევრი, ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა მისი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში შეძლებისდაგვარად გადაწყდეს ყველა ის პრობლემა, რომელიც აწუხებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, აქტიურ მუშაობას გააგრძელებს, რათა მომდევნო წელი უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

პატივისცემით,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-
საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"თავმჯდომარე